საძირკველგამოცლილი სახლი, 20 ძირი თხილი და ლოგინის ფეხით შემოკავებული ეზო

საძირკველგამოცლილი სახლი, 20-25 ძირი თხილი და ლოგინის ფეხით შემოკავებული ეზო

სულ ეს არის სოციალურად დაუცველი თამარ ბაკურაძის ავლადიდება

ალიონი. სოციალურად დაუცველი 52 წლის თამარ ბაკურაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაღდადში, კენჭისპირის უბანში მარტოხელა ცხოვრობს. 6 წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა, ხოლო ერთადერთი ქალიშვილი, რომელმაც აქ ვერანაირი სამუშაო ვერ იშოვა ოჯახის გასატანად, იძულებული შეიქნა საზღვარგარეთ, კერძოდ, იტალიაში გადახვეწილიყო, სადაც, როგორც ქალბატონმა თამარმა გვითხრა, მოხუცს უვლის.

„ალიონს“ ქალბატონი თამარი სახლში არ დაუხვდა, სატელეფონო საუბარში გავარკვიეთ, რომ თემის ცენტრში – ცხემლისხიდში იმყოფებოდა.

თუნუქით გადახურული, საძირკველგამომპალ-გამოცლილი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ღამის გათევა გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, მისი ნებართვით, მისივე მეზობლის თანხლებით გადავიღეთ. გავერანებულ, ალაგ-ალაგ ლოგინის ფეხით შემოკავებულ ეზოში 20-25 ძირი თხილი ჩანს, რომლითაც, ალბათ, თავის გატანა შეუძლებელია. როგორც მეზობლებმა გვითხრეს, სულ ეს არის თამარ ბაკურაძის ავლადიდება.

კენჭისპირი მალე დავტოვეთ და ქალბატონ თამარს, რომელიც რამდენიმე წელია ჯანმრთელობას უჩივის, ცხემლისხიდის ცენტრში შევხვდით:

„ხომ არის სასურათო ჩემი-სახლკარი. სახლი კი გადამიხურეს შარშან, მაგრამ ძირი და კედლები ისეა გამომპალი, არ ვიცი, როდის დამახვავდება თავზე. მარტო გადახურვა არ მითხოვია მაშინ, მაგრამ მეტის საშუალება არ გვაქვსო, მითხრეს ადგილობრივ ხელისუფლებაში. არც მანამდე ვიყავით კარგ



გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 8 (10253) 26 თებერვალი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

არც ერთი სოციალურად დაუცველი ოჯახი დახმარების გარეშე არ დარჩება

22 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლელა სავჯაიასთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რამდენიმე სოციალურად დაუცველი ოჯახი მოინახულა და მათ მდგომარეობას ადგილზე გაეცნო.

კიტა მეგრელიძის ქუჩაზე მცხოვრები ნუგზარ თოხაძის ოჯახი უმძიმეს საყოფაცხოვრებო პირობებში ცხოვრობს, ჯანმრთელობისა და მატერიალური პრობლემების გამო, მათი სახლის ავარიული მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. როგორც კონსტანტინე შარაშენიძემ აღნიშნა, ოზურგეთის მერია თოხაძეების ოჯახს ყველა საჭირო სამშენებლო მასალით მოამარაგებს და ამ ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობის შემსუბუქებისათვის იზრუნებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ასევე კიტა მეგრელიძის ქუჩაზე მცხოვრებ ზაზა ხურციძის ოჯახსაც დაეხმარება, რომელსაც სტიქიის შედეგად სახლის სახურავი აქვს დაზიანებული.

კონსტანტინე შარაშენიძე კიტა მეგრელიძის ქუჩაზე მე-6 და მე-8 მრავალბინიან კორპუსში მცხოვრებთა პრობლემებსაც გაეცნო, რომლებიც აღნიშნულ კორპუსთა ფასადების მოწესრიგებას ითხოვენ.

როგორც მერმა აღნიშნა, არც ერთი სოციალურად დაუცველი ოჯახი დახმარების გარეშე არ დარჩება.

ჯილდოები და ერთი სასწავლო წლის სტიპენდია ოზურგეთელ წარჩინებულ მოსწავლეებს

გასულ პარასკევს, 20 თებერვალს ოზურგეთის პროექტ „გურული დღიურების“ დამფუძნებელი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი **გიორგი კეკელიძე** სტუმრობდა. შეხვედრას განათლების დარგის წაყვან სპეციალისტებთან ერთად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. სტუმრობის მიზანი წარჩინებული ოზურგეთელი მოსწავლეები დაჯილდოება გახლდათ.

ფონდის დამფუძნელმა საუკეთესო მოსწავლეები პირადად დააჯილდოვა, მათ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სტიპენდია დაუნიშნა და წარმატებები უსურვა.

სტუმარს მიესალმნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე**, მერის მოადგილე **ირაკლი სირაძე** და განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილების უფროსი **მარინა ჯაფარიძე.**

დამსწრე საზოგადოება ოვაციებით შეხვდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფონდ „გურულ დღიურებს“ შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას.

„მე დასჯილი ვარ იმიტომ, რომ არ ვიყავი ამჟამინდელი მერის მხარდამჭერი“

ალიონი. 21 თებერვალს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ქ. ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის ყოფილმა დირექტორმა ეკა ნინიძემ ბრიფინგი გამართა.

–მოგესალმებით! მე გახლავართ ეკა ნინიძე, ა(ა)იპ ქ. ოზურეთის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის ყოფილი დირექტორი. ყოფილი იმიტომ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ უკანონოდ, შრომის კოდექსის გვერდის ავლით გამათავისუფლა სამსახურიდან. დასჯილი ვარ იმიტომ, რომ არ ვიყავი ამჟამინდელი მერის მხარდამჭერი. გათავისუფლების საფუძვლად ბრძანებაში ჩაწერა, რომ რეორგანიზაციის დასრულების გამო მიიღო ეს გადაწყვეტილება. თუმცა რეალურად რეორგანიზაცია ჯერაც არ არის დასრულებული და სავარაუდოდ კარგა ხანს არ დასრულდება.

ქალაქ ოზურგეთისა და თემთა მუნიციპალიტეტების შერწყმასთან დაკავშირებით, ა(ა)იპი ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმრდელო ცენტრისა და ა(ა)იპ ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის რეორგანიზაცია-შერწმის პროცესი მიმდინარეობს, როგორც აღვნიშნე, შრომის კოდექსის

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 28,80 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

საძირკველგამოცლილი სახლი, 20 ძირი თხილი და ლოგინის ფეხით შემოკავებული ეზო

მერყა ჯანმრთელობა, ნევროზი მაქვს, ამდენი ხანია ვმკურნალობ, მაგრამ უშედეგოდ, სახსრების ტკივილსაც ვერ დავაღწიე თავი. II ჯგუფის პენსიას ვიღებ 100 ლარს და წამლებში არ მითავდება. ჩემი ერთადერთი შვილი იძულებული გახდა იტალიაში წასულიყო სამუშაოდ. როგორც მწერს, იქ მოხუცს უვლის. მისი წასვლის შემდეგ მომიხსნეს სოციალური დახმარება. მეზობლებმა მითხრეს, მაგის მიზეზი შეიძლება იტალიიდან მიღებული ფულადი გზავნილი იყოსო, მაგრამ სოციალური ფულადი გზავნილის მიღებამდე მომიხსნეს, სარეიტინგო ქულა კი ისევ იმდენი მაქვს, რამდენიც მქონდა – 47 000“.

სოციალური მომსახურების ცენტრში გვითხრეს, რომ თამარ ბაკურაძეს ნამდვილად მოხსნილი აქვს სოციალური დახმარება, იგი ამ ეტაპზე სარგებლობს სამედიცინო პოლისით, თუ მისი სურვილი იქნება, მოხდება ოჯახის ხელმეორედ შესწავლა-შეფასება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, თამარ ბაკურაძეს ამის სურვილი აღარ აქვს. მიზეზი კი ასეთია: თუ ჩემი სოციალური მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შეიცვლება, რა აზრი აქვს გადამოწმებას, ან კიდევ გაზეთში დაწერას?!“

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი“

23 თებერვალს, კოლეჯ „ჰორიზონტში“ გაიმართა ღონისძიება თემაზე „თოვდა და თბილისს ებურა თალხი.“

აღნიშნული ღონისძიება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-100 საუბილეო წლისთავს მიეძღვნა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. ოზურგეთის №№1, 2,3,4, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის, შრომის, შემოქმედის, ნასაკირალის საჯარო სკოლები, რომლებმაც რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიასთან დაკავშირებით საკონკურსო ნამუშევრების პრეზენტაცია წარმოადგინეს.

ღონისძიების ორგანიზატორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილება იყო. სპეციალურ ჟიურს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი სირაძე ხელმძღვანელობდა.

ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეების (პრეზენტაცია ელენე გოგიბერიძემ და მარიამ ვასაძემ წარმოადგინეს) მიანიჭეს; მეორე – №3 საჯარო სკოლას (თორნიკე ბოლქვაძე); მესამე –სოფ. შრომის საჯარო სკოლას (მარიამ ჭაკნელიძე, თომა ჭკუასელი).

ჟიურის სიმპათიის პრიზი წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სკოლას (ბექა აბულაძე,თორნიკე თავდუმაძე, მამუკა სიხარულიძე), მიენიჭა.

კონკურსის ყველა მონაწილეს გაეცა სპეციალური პრიზი და საჩუქრები.

იყო აზრთა სხვადასხვაობა ჟიურის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რაზეც ჟიურის წევრმა, საკრებულოს დეპუტატმა ლელა საჯაიამ განმარტა, რომ გამარჯვების მთავარი კრიტერიუმი იყო, თუ რამდენად შეძლებდა მონაწილე გუნდი 1918 - 1921 წლების ამსახველი ადგილობრივი მასალის წარმოჩენას. მისი აზრით ყველა გუნდი კარგად გამოვიდა,რაც ძალიან მისასალმებელია.

ამავე დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ და კოლეჯ „ჰორიზონტის“ დირექტორმა ნანა ჯოლიამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

დისკუსია თემაზე გარემოსდაცვითი გამოწვევები

ალიონი. 21 თებერვალს, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ლიტერატურულ კაფე „რვას+1“-ში გაიმართა ლიდერთა სკოლის მოსწავლეების მიერ ორგანიზებული საჯარო დისკუსია - გარემოსდაცვითი გამოწვევები.

დისკუსიის პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ლიდერთა სკოლის მოსწავლეების მიერ ჩატარებული კვლევის „გარემოს დაცვითი და ეკოლოგიის საკითხების სწავლება სკოლებში“ პრეზენტაცია, რის შემდეგაც გაიმართა დისკუსია განათლების სისტემაში აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, საუბარი წარიმართა საკანონმდებლო რეგულაციებსა და მისი აღსრულების ეფექტურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პრეზენტაცია ჩატარდა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ადვოკატირების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს მოზარდებში გარემოსდაცვითი კულტურის ჩამოყალიბებას. მოზარდებმა, ლიდერთა სკოლის სასწავლო სესიებზე მიიღეს ინფორმაცია გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, მოცემული ეტაპიდან კი დაიწყება სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელება.

„მინდა უკეთ ვიცნობდე ჩემი სკოლის დირექტორს“

კვირიკეთის საჯარო სკოლის მეცხრე კლასში (კლასის ხელმძღვანელი მედეა სიამაშვილი) 2018 წლის 21 თებერვალს ჩატარდა კლასის საათი თემაზე „მინდა უკეთ ვიცნობდე ჩემი სკოლის დირექტორს“. მოსწავლეთა თხოვნით, შედგა დირექტორის გულახდილი დიალოგი მოსწავლეებთან. შეხვედრაზე დირექტორმა უპასუხა მოსწავლეთა შეკითხვებს, სადაც წარმოაჩინა თავისი პიროვნება იმ კუთხით, რომლითაც მოსწავლეები არ იცნობდნენ.

საუბრის შემდეგ მოსწავლეებმა დაახასიათეს საკუთარი თვალით დანახული დირექტორი.

განცხადება

იყიდება ურეკში, კაპროვანის ტერიტორიაზე, ზღვასთან ახლოს იყიდება 300 კვ. მ სააგარაკე მიწის ნაკვეთი.
ტელ. 568 22 06 90; 568 47 44 88.

XXX

იყიდება ქარხნულად დამზადებული ლითონის სათბური, ფართი – 36 კვ. მ.
მისამართი: ოზურგეთი, სოფ ფამფალეთი, ნოდარ ინწკირველი.
ტელ. 568 22 06 90; 568 47 44 88

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, მე-8 გვერდზე განთავსებულ წერილში „ზამთრის ვერნისაჟი“ – VII გამოფენა-კონკურსი“, ტექნიკური ხარვეზების გამო, არის რამდენიმე უზუსტობა, შეცდომითაა ან გამორჩენილია რამდენიმე ნომინანტის გვარი. გთავაზობთ ჩასწორებულ ვარიანტს:

– საუკეთესო გრაფიკა – **ნინო გულხადარაშვილი** (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის რჩეული – **თამუნა კონტრიძე** (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების რჩეული – **ანა ელიაძე** (ცხემლისხიდის საჯარო სკოლა);

– ბიზნესმენ დავით შარაშენიძის მეოთხე რჩეული (სამი დასახელებულია) – **ვერიკო ქერქაძე** (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა)

– სუპერმარკეტ „მოდერნი-2007-ის“ რჩეული – **მარიამ ნაკაიძე** (ზემო ნატანების საჯარო სკოლა).

ასევე მოჭრილია სტატიის ბოლო აბზაცი: „2018 წელს ჩვენმა ცენტრმა გამოსცა სამაგიდო კალენდარი, რომელიც აიწყო გამარჯვებული ბავშვების ნამუშევრებით. ესეც მნიშვნელოვანი და წამახალისებელი ფაქტია სახვითი ხელოვნებით დაინტერესებული ბავშვებისათვის და ამ საქმის პოპულარიზაციისათვის.“

„მე დასჯილი ვარ იმიტომ, რომ არ ვიყავი ამჟამინდელი მერის მხარდამჭერი“

მიხედვით, ეს პროცესი არ არის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. ორი მოქმედი დირექტორიდან არჩევანი უნდა გაეკეთებინა ერთ-ერთზე და მეორესთვის შეეთავაზებინა ტოლფასი სამსხური ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ვადით მიეცა კომპენსაცია. ამ ყველაფერს, „მეგობარმა მერმა“ (ეს მისი საარჩევნო სლოგანი იყო), გვერდი აუარა და ერთი ხელის მოსმით გამოსცა ბრძანება, ორივე ხელმძღვანელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

პირადად მე, და ჩემთან მოიაზრება აქტიური მოქალაქეების გუნდი, რომლებსაც საკუთარი ღირსების შელახვად მიგვაჩნია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესები, არ ვაპირებთ არსებული მდგომარეობის შეგუებას და მივმართავთ სამართლებრივი ბრძოლის სხვადასხვა ხერხს. ოზურგეთის დღევანდელმა მერმა სხვა გზა არ დაგვიტოვა, საკუთარი ღირსება სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა აღვიდგინოთ.

2017 წლის 12 დეკემბერს გადავიტანე უმძიმესი ოპერაცია, ერთი კვირა ვიმყოფებოდი მართვით სუნთქვაზე, რეაბილიტაციის პროცესს გავდივარ დღემდე, 9 თებერვალს გავედი პირველად სამსახურში და იმ დღესვე იურიდიული სამსახურისა და აუდიტის სამსახურის უფროსები გვეწვივნენ ერთადერთი მიზნით, ეცნობებინათ მბრძანებლისთვის ვიმყოფებოდი თუ არა სამსახურში. რახან ეს არ გამოუვიდათ, იურიდიული სამსახურის უფროსმა ლაშა თავაძემ პასუხი მომთხოვა აბსურდულ ბრალდებაზე: რატომ არ ვაცნობე მერს, წინა დღით, რომ მეორე დღეს სასწრაფო ოპერაცია დამჭირდებოდა და მთელი კვირა მართვითი სუნთქვის აპარატზე ვიქნებოდი. მგონი კომენტარს არ საჭიროებს მერიის იურისტის კომპენტენცია. ეს იყო პარასკევი დღე და ორშაბათს, 12 თებერვალს ბრძანებით გამათავისუფლეს. მიზეზი რისთვისაც მეც და ჩემი კოლეგა, თემთა მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი გაგვათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდნ ეს არის ჩვენს წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა. რადგან მოვიაზრებოდით სახელისუფლებო კანდიდატის მხარდამჭერებად. ამას ზედ ერთვის ცოტა უფრო ადრე, 2012 წლის ზაფხულში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ მიტინგზე ყოფნის გამო და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მოწინააღმდეგეობისთვის ერთხელ უკვე გამათვისუფლეს სამსახურიდან და ორი წელი ვმუშაობდი კონსულტანტ-მასწავლებლად ზემო აჭარაში. დღეს, ოცნების ფრთას ამოფარებული მერისგან და ნაციონალებისგან ისევ გრძელდება ჩემი პიროვნული დევნა.

ჩვენ, არსებულ რეალობას არ შევეგუებით, მუნიციპალიტეტი ფაქტიურად პარალიზებულია, ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა შესარჩევი კონკურსი თემებში მერის რწმუნებულების ვაკანსიაზე, რაც მნიშვნელოვან ყოფით პრობლემებს უქმნის მოსახლეობას, მობილობის პროცესიც ყოველგვარი გამჭირვალეობის გარეშე ჩატარდა, მხოლოდ ის საჯარო მოხელეები დარჩნენ კომფორტში, რომლებიც დღევანდელ მერთან ასოცირდებიან. ერთადერთი ინტერესი, რაც ბატონ შარაშენიძეს ადარდებს, არის ვინ ვის მისცა ხმა არჩევნებში. ერთადერთი ქმედება, რომელიც მერმა წარმატებით განახორციელა, არის 30000 ლარის სიძისთვის გადარიცხვა. მეტი „წარმატებული“ საქმიანობა არ მინახავს.

მივმართავ ოზურგეთის მუნიციპიტეტის საკრებულოს წევრებს, იქნებ უფრო მეტად დაინტერესდნენ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებით. ის ნდობის მანდატები, რომლებიც მათ ოზურგეთის მოსახლეობამ მისცა დიდი პასუხისმგებლობაა და არა მხოლოდ კარგად მორგებული სავარძლები. საზოგადოება მათგან ელოდება განცხადებას, რომელიც ჯერაც არ გაუკეთებიათ—განაცხადა ეკა ნინიძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, მიმართავს თუ არა იგი სასამართლოს, ეკა ნინიძემ უპასუხა, რომ სასამართლოში წარსადგენად ამზადებს სარჩელს და უახლოეს დღეებში წარადგენს.

კითხვაზე, დაეკონკრეტებინა, თუ რას გულისხმობს ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის მოსვლაში“ ნინიძემ უპასუხა:

—მე „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს ვუჭერდი მხარს. ხელისუფლებაში „ნაციონალების“მოსვლაში ვგულისხმობ იმას, რომ კოტე შარაშენიძე არის „ნაციონალური პროდუქტი.“ მან სული მიჰყიდა ნაციონალებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერანაირად ვერ გაიმარჯვებდა. გადახედეთ მის საარჩევნო შტაბს, იქ ვინ იყვნენ: თავართქილაძე, ბოლქვაძე, მამეიშვილი, —„ნაციონალების“ მთელი გუნდი. ამიტომ ვამბობ, რომ სამსახურიდან „ოცნების“ კანდიდატის მხარდაჭერისთვის გამიშვეს. თუმცა, ვიმეორებ, ვაგრძელებ ბრძოლას სამართლებლივი გზით—განაცხადა მან.

-ვხედავ, რა დღეში ჩავარდა ის ხალხი, ვინც „ქართულ ოცნებას“ უჭერდა მხარს, ვინც სახელმწიფოს გვერდით იდგა არჩევნებზე. ამ ხალხს დღეს შარაშენიძე სამსახურიდან ათავისუფლებს. სწორად თქვა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე მერაბ ჭანუყვაძემ: —„ვინც „ქართული ოცნებიდან“ გადასაბარგებელი ხართ, დროზე გადაბარგდითო.“თქვენ, ვისაც უსამართლოდ მოგექცნენ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ხელისუფლებას, ოზურგეთი ნამსხვრების ქვეშაა მოქცეული -მიმართა ეკე ნინიძეს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა აქტივისტმა ნუგზარ გიორგაძემ.

—ვიცი, რომ საკრებულოში სხედან ჩვენგან მიცემული ნდობის მანდატით, თუმცა, ოზურგეთს დღეს აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელსაც ჰქვია „კოტეს კონსტიტუცია.“ამიტომ მე სამართლებლივი გზით ვიბრძოლებ— თქვა ეკა ნინიძემ.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო პესტიციდის გამოყენების ინსტრუქცია გააცნეს

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, აზიურ ფაროსანასა და მასთან ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით საჯაროსაინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას, საკითხით დაინტერესებულ მოქალაქეებთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების, არასმთავრობო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ ზურაბ ლიპარტიამ დეტალურად ისაუბრა აზიურ ფაროსანასთან, მასთან ბრძოლის მეთოდებთან და სახელმწიფოს ზოგად სტრატეგიასთან დაკავშირებით. მანვე სოფლის მეურნეობისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლებთან ერთად

ფაროსანას საწინააღმდეგო პესტიციდის გამოყენების ინსტრუქციის შესახებ შეკითხვებს უპასუხა.

ღონისძიება ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით, მისი ბიუროს ორგანიზებით, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (**NDI**) მხარდაჭერითა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის **UK aid** -ის ფინანსური ხელშეწყობით ხორციელდება.

<u>მაჟორიტარები</u>

ბექა თოიძე – სოფ. მაკვანეთი

თვითმმართველობის არჩევნებში 542 (61.-94%) ხმით სოფელ მაკვანეთმა არჩევანი ბექა თოიძეზე გააკეთა. ბექა თოიძე იმ ახალგაზრდა დეპუტატთაგან ერთ-ერთია, რომლმაც საკრებულოს წევრობის მანდატი პირველად მიიღო.

„ ადვილად არ მიმიღია გადაწყვეტილება მებრძოლა ჩემი სოფლის მაჟორიტარობისთვის, თუმცა არჩევნებში მიღებულმა შედეგმა მომცა დიდი ძალა, ჩემი თანასოფლელების ნდობა გავამართლო და ვიშრომო, რათა მაქსიმალურად ბევრი პრობლემა მოგვარდეს მომდევნო ოთხი წლის განამვლობაში.

სოფელი გაზიფიცირებულია, თუმცა დარჩენილა ე. წ. გოგიეთის უბანი, სადაც გაზის შეყვანა ჩემთვის ნომერი პირველი მოსაგვარებელი პრობლემაა. ნაწილობრივ რეაბილიტაცია ესაჭირობა სოფლის ცენტრალურ გზას, ძირითადი სამუშაოები ამ მიმართულებით სოფლის შიდა გზებზეა ჩასატარებელი. შიდა გზებზე საჭიროა გარე განათების მოწყობაც, მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები და სოფლის ცენტრი.

სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა მაკვანეთლებისთვის იმ მხრივაც მნიშვნელოვანია, რომ მალე სოფელს ახალი, არტემ ერქომაიშვილის სახელობის სიმღერა-გალობის მუზეუმი ექნება და ადგილობრივთან ერთად ტურისტებსაც უმასპინძლებს. მითუმეტეს, რომ მუზეუმში განთავსდება საგამოფენო ექსპონატები და საგალობლების ფონდ-საცავი. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას უზრუნველყოფს ფონდი „ქართული გალობა“. პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება 450 000 ლარია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

მე, როგორც სოფლის მაჟორიტარს, თითოეული მაკვანეთელის მიერ გამოცხადებული ნდობა მაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას ვიზრუნო ჩემს სოფელზე, დავიცვა მაკვანეთლების ინტერესები. თქვენი მხარდაჭერით,, ჩართულობით, ჩვენ ერთად უნდა დავსახოთ პრიორიტეტები, ვეძებოთ გადაჭრის გზები. ვიმედოვნებ ყოველწლიურად მოვახერხებთ სოფელში პრობლემათა რიცხვის შემცირებას და მეტი სასიკეთო საქმის კეთებას.

ლევან კილაძე – სოფელი მელექედური

2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში სოფელ მელექედურმა 377 (55.44%) ხმით, უკვე მეორედ ლევან კილაძე აირჩია.

„მეორედ გამოგიცხადოს ნდობა სოფელმა მაკისრებს დიდ პასუხისმგებლობას, გავამრთლო ჩემი თანასოფლელების იმედი. გასულ წლებში ჩვენი ხელისუფლების თანადგომით განხორციელებული საქმეები და სამომავლო გეგმები არის საფუძველი გამოცხადებული ნდობისა, რომლის გამართლება ჩემი მთავარი მიზანია.

მოკლედ მსურს გავიხსენო გასულ წლებში სოფელში მოგვარებული რიგი პრობლემები. მათ შორისაა სოფელ ოზურგეთი-მელექედური-დვაბზუს დამაკავშირებელი რეაბილიტირებული გზა. ე.წ. მე-2 ბრიგადის უბანში ახალი ხიდის მშენებლობა. წლების განამვლობაში დაზიანებული ხიდი აღდგა და ეს უბანი სოფლის ცენტრს დაუკავშირდა. დასრულდა გარე განათების სამუშაოები, რომელმაც სოფელი სრულად მოიცვა. მდინარე ნატანებზე მოეწყო ნაპირსსამაგრი გაბიონი, ეს იყო უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომლის განხორციელებამ თავიდან აგვაცილა გაღმა გამოღმა მელექედურის დამაკავშირებელი გზის ჩახერგვა. რამდენიმე გზის რთულ მონაკვეთზე მოეწყო ბეტონის საფარი.

სოფლისთვის ყველაზე დიდ პრობლემად გაზიფიცირების საკითხი დგას. წლებია მელექედურის მოსახლეობა ელოდება ამ პროექტის განხორციელებას. ვიმედოვნებ, მისი გადაჭრა უახლოეს პერიოდში მოხდება. სასიამოვნოა, რომ მალე დაიწყება მელექედური-ნასაკირალის გზის მშენებლობა, რომლის ღირებულებაც შეადგენს 816 950 ლარს, ტენდერი უკვე გამოცხადებულია. მოსაწესრიგებელია შიდა გზებიც. ჩვენ ყოველ წლიურად ვახერხებთ ეტაპობრივად რთული მონაკვეთების მოწესრიგებას, თუმცა გასაკეთებელი კიდევ რჩება. დიდ თანხებთან არის დაკავშირებული სასმელი წყლის რეაბილიტაცია, თუმცა სოფელი ამ პროექტის განხორციელებას საჭიროებს. დროულად უნდა დავიწყოთ აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი სამუშაოები გაზაფხულზე დაიწყება.

იყო მაჟორიტარი და წარმოადგენდე შენს სოფელს წარმომადგენლობით ორგანოში, ნიშნავს დაიცვა თითოეული თანასოფლელის ინტერესი. მე რიგითი მელექედურელი ვარ, თუმცა თქვენს მიერ მონიჭებული ნდობის მანდატი მაკისრებს მოვალეობას ვიყო თქვენი ხმა საკრებულოში“

ოზურგეთი ახალგაზრდების მიმართ მეგობრულ მუნიციპალიტეტად გამოცხადდა

ალიონი. ნიდერლანდების სამეფოს მიერ დაფინანსებულ პროექტს „ინვესტირება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის და აივ პრევენცია ახალგაზრდებს შორის“ საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ ახორციელებს, რომლის ღონისძიებები კარგა ხანია საყოველთაო ინტერესს იწვევს.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია ახალგაზრდებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი სერვისების შექმნა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა დევიზით: „მერები ახალგაზრდების მიმართ მეგობრული, კეთილგანწყობილი ქალაქებისათვის“.

23 თებერვალს, პროექტის ფარგლებში, „ბემონმა“ მორიგ ღონისძიებაზე ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მიგვიწვია, სადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ ოზურგეთი ახალგაზრდების მეგობრულ მუნიციპალიტეტად გამოაცხადა:

„ახალგაზრდობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგნეს. მათი სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელია შესაბამისი გარემოს შექმნა. სადაც , ისინი შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას. მოგიწოდებთ მოზარდებსა და ახალგაზრდებს, მონაწილეობა მიიღოთ თქვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაში, ჩემი კარი თქვენთვის ყოველთვის ღია იქნება და ვაცხადებ „ოზურგეთს ახალგაზრდებისადმი მეგობრულ მუნიციპალიტეტად“.

„ახალგაზრდების მიმართ მეგობრული ქალაქის“ კონცეფცია დაიბადა ევროპაში, გასული საუკუნის 90-იან წლებში. ამ კონცეფციას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ქალაქში ცხოვრება ბავშვებსა და ახალგაზრდებს უქმნის ახალ საფრთხეებსა და რისკებს: არასტაბილური ოჯახები, სოციალური იზოლაცია, გარემოს დაბინძურება, კრიმინალურ სიტუაციებში ჩათრევის მომეტებული რისკი, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და სხვა.

ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა გაეროს ბავშვთა ფონდმა და 1998 წლიდან დაიწყო მისი ფართოდ გავრცელება. დღეისათვის ინიციატივას შეუერთდა მსოფლიოს 900-მდე ქალაქი სხვადასხვა ქვეყანაში.

მთავარი, რითთაც ეს მიდგომა განსხვავდება სხვა სოციალური პროგრამებისა თუ ინიციატივებისგან, არის ბავშვებისა და ახალგაზრდების აუცილებელი მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ინტერესებს ეხება.

ღონისძიებაზე ახალგაზრდების მონაწილეობით შედგა ფორუმ-თეატრი.

დაჯილდოვდნენ აივ პრევენციის თემაზე შექმნილი ესსეების კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდები.

პრემიერა - „კლინიკური ქორწინება“

ქ. ოზურგეთის აღ. წუწუნავას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა 23 თებერვალს მორიგ პრემიერად ცნობილი ქართველი დრამატურგის ირაკლი სამსონაძის ტრაგიკომიკური ფარსი „კლინიკური სიკვდილი“ წარმოადგინა.

სპეტაკლის დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელია ოთარ კუტალაძე, მხატვარი – თამაზ დარჩია, სასცენო მოძრაობა – მარიკა ქვეითაია, რეჟისორის ასისტენტი – ირაკლი ვადაჭკორია.

სპექტაკლში გამოყენებულია გოგა მახარაძის მუსიკა.

როლებში: ნოდარი – ალექსანდრე ლომიძე; თამარი, მისი ცოლი – თეა კეჭაყმაძე; ლიზა გრიგორიევნა, თამარის დედა – ბელა კიკვაძე; ზუკა, ნოდარის და თამარის სიძე – კობა ახალაძე; ვალტერ ჩიჩუა, კლინიკის მთავარი ექიმი – ირაკლი ვადაჭკორია; ლილი, ვალტერ ჩიჩუას ხელქვეითი – ანი გოდერძიშვილი; ელგუჯა, ლილის მეუღლე – ვახტანგ ჩხარტიშვილი.

ქართული ჩაისათვის ბრძოლა ღირსების საქმეა

მასმედიით ვრცელდება ინფორმაცია საქართველოში შემოსული მავნებლის „აზიური ფაროსანას“ წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების თაობაზე. შექმნილია შესაბამისი სამთავრობო კომისია, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 50 მილიონი ლარი.

გასული 2 წლის მონაცემებით, მავნებლის მიერ განადგურებულია თხილის, ციტრუსების ,სხვმა ხეხილოვანი,მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურების მოსავლის 70 %,. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ფაროსანას მთლიანად განადგურება შეუძლებელია. მას უკვე თითქმის 10-15 წელიწადია ებრძვის მსოფლიო.

მოსახლეობაში უკვე მუსირებს აზრი, რომ დაუშვეს გამოუსწორებელი შეცდომა, სპონტანურად ჩაის პლანტაციების გადაწვის და ამოძირკვის თაობაზე. გამოჩნდნენ ფერმერები და ფირმები რომლებიც დარწმუნდნენ, რომ დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში, მყავე, წითელმიწა, ეწერი ტიპის ნიადაგებზე ჩაის კულტურას ალტერნატივა არ გააჩნია. მთ სურვილი აქვთ ჩაის კულტურის გაშენების,მაგრამ ამას სჭირდება დრო და სერიოზული ფინანსური საშუალებები.

გასულ საუკუნეში საქართველოში ჩაის პლანტაციები ძირითადად გაშენებული იყო ჩინეთიდან, იაპონიიდან და ინდოეთიდან შემოტანილი ჯიშ-პოპულაციის ნარევი თესლით, რომელიც ჩვენთან შემდგომში იწოდებოდა ჩაის ადგილობრივი პოპულაციის სახელით. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსების დღიდან (1930) ფართოდ გაშალა სელექციური მუშაობა ჩაის კულტურაში უხვმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი ჩაის ჯიშ-პოპულაციების მიღებისა და წარმოებაში მათი დანერგვის მიზნით. ფასდაუდებელია აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ ჩაქვის ფილიალში გამოყვანილი 20-მდე ჩაის ჯიშ-პოპულაცია,ასევე მნიშვნელოვანია სელექციონერების მიხეილ კოლელიშვილის და ტატიანა მუტოვკინას მიერ კლონური სელექციის შედეგად ჯერ კიდევ 1939 წელს შერჩეული ჩაის კლონი 257, რომელმაც წარმატებით გაიარა სახელმწიფო ჯიშთა გამოცდა და 1974 წლიდან დარაიონებულია ჯიში „კოლხეთი“-ს სახელწოდებით.

ზამთარგამძლეობისა და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით იგი მიეკუთვნება ჩინურ ფართოფოთლოვან ჩაის ფორმას,ხოლო მისი ფოთლების ღია მწვანე შეფერვა დამახასიათებელია ინდოეთის მცენარეების ნარსახეობისთვის. ეს ჯიში ხასიათდება ყლორტების უხვი წარმოქმნით და მაღალი რეგენერაციით. სამფოთლიანი ღუჯი 1 გრ-მდე იწონის. ვეგეტატიურად გამრავლებული ჯიში „კოლხეთი“ ყველაზე ხარისხოვანია არსებულ სელექციურ ჯიშებს შორის. მისი ნორმალური ღუჯი შეიცავს 32-36% ტანინს და 46-50% ექსტრაქტულ ნივთიერებას.. „კოლხეთი“-ს ნედლეულიდან დამზადებული პროდუქცია ხასიათდება ინდოეთისა და შრილანკის მაღალმთიანი რაიონებიდან მიღებული ჩაის გემოთი და არომატით. პროდუქციის უმაღლესი ხარისხი ფასდება 6,0-6,5 ბალით და შეესაბამება მსოფლიოს მაღალხარისხოვანი ჩაის სტანდარტებს. აღსანიშნავია,რომ იგივე ჯიშის თესლით გამრავლებული მცენარეების ნედლეულიდან დამზადებული ჩაის პროდუქცია არ ატარებს ასეთ სპეციფიკურ სუნს და არომატს, რაც გამოწვეულია თესლით გამრავლების დროს მიმდინარე დათიშვის პროცესებით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯიშის თესლიდან მიღებული პროდუქცია ასევე პერსპექტიულია ჩაის ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით.

დადგენილია აგრეთვე, რომ ჯიში „კოლხეთი“-ს ვეგეტატიურად გამრავლებული პლანტაციები მეტ მოსავალს (10-12ტონა ჰა-ზე) იძლევიან ადგილობრივი პოპულაციის ჩაისთან შედარებით (7-8 ტონა ჰა-ზე),ხოლო თესლის თაობა საშუალოდ ჰა-ზე 9-10 ტონა მაღალხარისხოვან ნედლეულს იძლევა. განსაკუთრებით მაღალ მოსავალს ჯიში „კოლხეთი“ იძლევა აჭარა,-გურიის ,სამეგრელოს დაბალ , თბილტენიან ზონაში. ამ მიზნით ბევრი რამ გაკეთდა გასული საუკუნის 70-90-იან წლებში. ხსენებულ ინსტიტუტში და მის ფილიალებში თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოეწყო ჩაის ვეგეტატიურად გასამრავლებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 20-ჰა ფართობზე. ყოველწლიურად 5 მილიონი ნერგის გამოსავლიანობით, რაც წარმოების პირობებში უზრუნველყოფდა 250-300 ჰა. ძველი ამორტიზებული პლანტაციების შეცვლას და ახლით გაშენებას.

1980-1985 წლებისათვის აღნიშნული პრობლემა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძალზე პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლებოდა, თუმცა 1990 წლიდან განვითარებულმა მოვლენებმა მთლიანად დაამსხვრია ამ მიმართულებით გაწეული შრომა. განადგურდა ინსტიტუტის დაქვემდებარებაში მყოფი მილიონობით ღირებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოებაში გაშენებული ჯიში „კოლხეთი“-ს და სხვა სელექციური ჯიშების 15000 ჰა. პლანტაცია. შემორჩა მხოლოდ საკოლექციო ნარგაობის სახით ჩაქვის ყოფილი ფილიალის და ანასეულის ექსპერიმენტალური ბაზის ტერიტორიაზე .

წარსულის მცირე ექსკურსით გვინდა ჩვენს მოსახლეობას , ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციით დაინტერესებულ ბენეფიციარებს გავუჩინოთ ინტერესი და მოტივაცია საქართველოში არსებული ჩაის ჯიშკლონების პოტენციური შესაძლებლობებისა და პერსპექტივაში ჩაის ახალი პლანტაციების ამ ჯიშებით გაშენების თაობაზე.

აღნიშნულის შესახებ ვწერდით ჯერ კიდევ 2016 წელს („აგრარული საქართველო“ 10). ვაფასებდით ამ მიმართულებით განვითარებულ ნეგატიურ მოვლენებს , რომელიც ეხებოდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ყოფილი ფილიალის ტერიტორიაზე გაშენებულ უნიკალური ჩაის ჯიშებისა და კლონების საცდელ-საწარმოო, საკოლექციო და სათესლე პლანტაციების განადგურების ფაქტებს. იმავე წერილში ვაყენებდით საკითხს აჭარის ხელისუფლების, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე ჩაქვის ფილიალში ჯერ კიდევ შემორჩენილი უნიკალური ჩაის ჯიშების და კლონების გადასარჩენად, ამ ადგილის საქართველოში მეჩაიეობის განვითარების ისტორიულ მუზეუმად გადაქცევის შესახებ. უკვე 2 წელია ჩვენს წინადადებას გამოხმაურება არ მოყოლია. ნუთუ შეუძლებელია აღნიშნული ტერიტორიის (10-15 ჰა) კერძო ინვესტორისგან (შპს „აგრო მეტი“) გამოსყიდვა და მისი აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემა.? მივესალმებით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დანონსებულ ღონისძიებას 2018-2020 წლებში 20 ჰა. ფართობზე ჩაის ახალი მაღალმოსავლიანი პლანტაციების გაშენების თაობაზე, რომელზედაც ნახევარ მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი, თუმცა უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩაქვის ფილიალის ტერიტორიაზე გაშენებული ჩაის უნიკალური ნაკვეთების გამოსყიდვა ,მათი რეაბილიტაცია ,სანერგე მეურნეობის მოწყობა და მოსახლეობის ჩაის მაღალმოსავლიანი ჯიშების სარგავი და სათესლე მასალით უზრუნველყოფა.

მძიმეა ის ისტორიული რეალობა რაც საქართველოში მეჩაიეობის დარგმა აყვავებიდან სრულ განადგურებამდე განიცადა, მაგრამ 2016 წელს სახელმწიფომ გონივრული ნაბიჯი გადადგა როდესაც მიიღო ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“. 2016-2017 წლის განმავლობაში გურია-სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონების ჩათვლით დარეგისტრირებულია 1200 ჰა-ზე მეტი სარეაბილიტაციო ფართობი. სამწუხაროდ ქვეყნის მაშტაბით სარეაბილიტაციო პლანტაციებიც კი მინიმუმშია, რაც ქვეყნაში ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების აუცილებლობაზე მიუთითებს („აგრარული საქართველო“- 11-2017წ. 2-2018წ). სუბტროპიკულ ზონაში მომქმედი ჩაის მწარმოებელიმაკომპანიებმა, რ რამდენიმე ასეული ჰა. გატყეებული ჩაის ნარგაობა გამოიყვანეს, გააკულტურეს და ექსპლოატაციაში ჩააყენეს (შპს „ფეოპლანტი“, შპს „ნატურა თი კომპანი“, შპს „ლაზი“, შპს „ჯეკარი-91“ და მრავალი სხვა). მისასალმებელია ოზურგეთში (ანასეული) სოფლის მერნეობის სამინისტროს მიერ ნიადაგის და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“-ს ბაზაზე სამეცნიერო კვლევითი ბაზის შექმნა. დასასრულს უახლოვდება ლაბორატორიული კორპუსის რეაბილიტაცია, კაბინეტ-ლაბორატორიების თანამედროვე აპარატურით აღჭურვა. აქვე გა-თვალისწინებულია მავნებელ „აზიური ფაროსანა“-ს წინააღმდეგ ბრძოლის ბიო-ლაბორატორიის შექმნა-ფუნქციონირება,დაგეგმილია სანერგე ნაკვეთების მოწყობა,საველე საკოლექციო ნარგაობის გაშენება, შესაბამისი კვლევა-ძიების წარმოება გათვალისწინებულია ფერმერების მომზადება-გადამზადება. წარმოებისათვის რეკომენდაციების შემუშავება და პრაქტიკული დახმარება.

ამ წერილის ავტორებს მიაჩნით,რომ ჩაის კულტურა უალტერნატივოა ჩვენს ზონაში, მითუმეტეს როცა მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე იზრდება, იგი ვალუტის შემომტან ერთ-ერთ კულტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ბორცვიან, ფერდობიან ადგილებზე აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს ჩაის კულტურა როგორც მძლავრი ანტიეროზიული საშუალება. ამავე დროს,ჩაი ერთ-ერთი სტაბილური კულტურაა რომელიც ადვილად ეგუება ამომალურ კლიმატურ პირობებს, გამძლეა მავნებელ-დაავადებათა მიმართ და 50-60 წლის განმავლობაში იძლევა სტაბილურ მოსავალს. მეჩაიეობის დარგის აღორძინება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს, როდესაც საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდება,რადგან ჩვენ მათ შორის ერთ-ერთი ჩაის მწარმოებელი ქვეყანა ვიქნებით და მაღალხარისხოვან პროდუქციაზე საექსპორტო მოთხოვნილება წლითი-წლობით გაიზრდება. მიგვაჩნია, რომ ჩვენი აქტიური პროპაგანდა აუცილებელია რადგან გლეხი, ფერმერი სანფორმაციო ვაკუუმშია. ამ მხრივ მისასალმებელია ჟურნალ „აგრარული საქართველო“-ში მეჩაიეობის დარგის აღორძინების საკითხებზე პოპულარული წერილების გამოქვეყნება.

ვიმედოვნებთ, ხელისუფლება მეცნიერების მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების საფუძველზე, შეძლებს სუბტროპიკული მეცნარეობის,დ კერძოდ,მეჩაიეობის აღდგენა-განვითარებისათვის სასურველი პირობების შექმნას და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას.

ზაურ გაბარიჩიძე-
სმმ დოქტორი, პროფესორი.
რუსუდან ტაკიძე-
სმმ აკადემიური დოქტორი.
იოსებ ბასილია-
სმმ დოქტორი.
სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

ეს უჩინარი ძალადობა ოჯახში
დარეკეთ 116006!

„არ არსებობს ქვეყანა ან ხალხი, რომელთაც ოჯახში ძალადობა არ ეხება“

მაია ბერიძე

იყო დრო, როცა მიიჩნეოდა, რომ საქართველოში ძალადობის პრობლემა არასამთავრობო სექტორის მიერ ხელოვნურად იყო გააქტიურებული. ასეა, როცა პრობლემას მალავ, თითქოს არცაა. თან თუ საკუთარ თავსაც უმალავ!

ქალბატონი ია ვერულაშვილის, „ქალთა საქველმოქმედო ცენტრის“ ხელმძღვანელის ინფორმაციით ქალთა გლობალური ფონდისა და **UNICEF**-ის მხარდაჭერით ჩატარდა კვლევა, რომელშიც ჩართული იყო 16-80 წლამდე 1 251 ქალი. გამოკითხულთა 56, 3% -მა ოჯახში ძალადობის ფაქტების დამალვის მთავარ მიზეზებად დაასახელეს, რომ ოჯახის პრობლემა საზოგადოებამ არ უნდა გაიგოს. 82 % - ისათვის საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოების აზრი. კონფლიქტის შესახებ ქალს ურჩევნია მიმართოს: -46, 68% ნათესავებს, 47,08% –მეგობრებს.

ია ვერულაშვილი: „ —არ არსებობს ქვეყანა ან ხალხი, რომელთაც ოჯახური ძალადობა არ ეხება, ძალადობა ყოველთვის იყო საზოგადოების არსებობის ნაწილი. ყოველწლიურად მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება დედამიწაზე, ხოლო მრავალმა ადამიანმა მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანება საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის გამო ინტერპერსონალური და კოლექტიური ძალადობის შედეგად.“

ძალადობა ხშირად ინიღბება სიყვარულისა და ზრუნვის სახელით. მსხვერპლის, უმეტეს შემთხვევაში ქალბატონების, უმრავლესობა თავს არ უტყდება, რომ არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ურჩევნიათ იტირონ ექიმის კაბინეტშიც, სვან დამამშვიდებელი და ელოდონ როდის „გამოსწორდება“ მეუღლე. შესაძლოა მოთმინების და უკეთესის ლოდინის რეჟიმში ცხოვრების მიზეზი იყოს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების უქონლობა, თავის ვერ გამეტება პრობლემების პირისპირ დასარჩენად, გაურკვეველი მომავლის შიში.

საქართველოს ძალადობისაგან დაცვის გურიის კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბერიძე განმარტავს, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეზე განხორციელებული ნებისმიერი ღირსების შემლახველი ქმედებაა.

„ – კომიტეტი ამ საკითხზე უკვე წლებია მუშაობს. მოსახლეობასთან შეხვედრები, დისკუსიები, ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ დიდი ნაწილი პრობლემის აქტუალობას აღიარებს, რაც 10 წლის წინათ ნამდვილად იშვიათი იყო და შესაბამისად მოსახლეობის ცნობიერების ხარისხის ამაღლებაზე მიუთითებს.

ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმირებულნი არიან, იციან, რომ მათი უფლებები კანონით დაცულია, ხშირად ვერ ახერხებენ ამ უფლებების რეალიზებას, რადგან არ გააჩნიათ სათანადო უნარები, ისინი ასე აღზარდეს...

მეორე მხრივ, ქალბატონების ნაწილმა გადაწყვიტა დაარღვიონ სტერეოტიპი „პრივილეგირებული სქესის" შესახებ და მამაკაცების რეაქციამაც არ დააყოვნა –სისტემატიურად ვრცელდება ინფორმაცია ქალზე ფიზიკური ძალადობის, ქალის დაჭრის და სამწუხაროდ, მკვლელობის შესახებ. როგორც ჩანს, მოძალადე მამაკაცებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც არ აშინებთ.

ხშირად ქალბატონები კომიტეტში დახმარებისთვის მხოლოდ მაშინ მოგვმართავენ, როცა, როგორც ამბობენ, უკან დასახევი გზა აღარ აქვთ და ითხოვენ თავშესაფარში გადაყვანას ან განქორწინებას.

სად არის გამოსავალი? - საზოგადოებაში არაძალადობრივი კომუნიკაციების დამკვიდრება ალბათ აუცილებელი პირობაა ჯანსაღი ოჯახების შესაქმნელად, ეს კი ხანგრძლივი და საკმაოდ შრომატევადი პროცესია და მასზე სახელმწიფო ინსტიტუციებმა სერიოზულად უნდა იფიქრონ.“

სახელმწიფო ინსტიტუციები ამაზე სერიოზულად ფიქრობენ. ქალთა მიმართ ნებისიერი სახის ჩაგვრის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულება ერთ-ერთი პრიორიტეტულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის, ეს ვალდებულებები მკაცრადაა განსაზღვრული გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტეტის რეკომენდაციებში.

საქართველოში არსებობს ტრეფიკინგისა და ძალადობისაგან დაცვის ცხელი ხაზი - 116006, სადაც დარეკვა უფასოა და სადაც რამდენიმე ენაზე, მათ შორის ქართულ, რუსულ. სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა, გაგიწევენ კონსულტაციას და შესაბამის პრაქტიკულ დახმარებას.

ოჯახში ძალადობა არ არის მსხვერპლის სირცხვილი და ოჯახში დასამალი ქმედება. ეს აზარალებს ოჯახის ყველა წევრს, მათ შორის მოძალადესაც. მსხვერპლის დუმილი ახალისებს მოძალადეს, მას უძლეველს ხდის. დაუმთავრებელი ტანჯვა, გაუზიარებელი ტკივილი კი ხშირად სავალალო შედეგებს იწვევს. კმარა, დუმილი. დარეკეთ: 116006

ლია კილაძე

გაზეთი „გურიის ხმა“ – 100 წლისაა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №7

„გურიის ხმა“დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი თვითმმართველობის –ერობის შემოღებას.

„რუსეთის რევოლიციის მონაპოვართა შორის ერობას ცენტრალური ადგილი უჭირავს. ერობამ, რომელიც დაიჭერს არსებული რევოლუციონერ ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ალაგს, ყოველივე ზომები უნდა მიიღოს რევოლუციის მიერ მონაპოვართა შესანარჩუნებლად და გასამტკიცებლად.მან სხვადასხვა ტიპის სკოლების და სხვა ტიპის დაწესებულებების გახსნით უზრუნველ უნდა ჰყოს ხალხის კულტურული განვითარება; გზების და არხების გაყვანით, ბოგირების გაკეთებით და სხვა უზრუნველ უნდა ჰყოს ხალხის ნორმალური მიმოსვლა და წარმოების განვითარება; საავადმყოფო- ქსენონების გახსნით და ჰიგიენური პირობების შექმნით უზრუნველ უნდა ჰყოს მცხოვრებლების ჯანსაღობას; საწარმოო იარაღების შეძენით და საერთოდ მეურნეობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებით ხელი შეუწყოს მეურნეობის აყვავებას; არსებულ ადმინისტრაციულ მექანიზმის შეცვლით დააყენოს მართვა-გამგეობა შესაფერ დონეზე. ..

...ხალხი მის მიერ არჩეულ ორგანოში უნდა ჰპოვებდეს გამოძახილს, და თვით ორგანოც სრული ნდობით სარგებლობდეს ამრჩევლებისაგან... ამიერკავკასიის მთავრობამ შეურყევლად განაგრძო მუშაობს ერობის შემოსაღებად, რასაც სხვათა შორის ამტკიცებს 10 იანვარს, 2018 წ. გამოცემული „ნაკაზი.“

... ჩვენს დემოკრატიულ ქვეყანაში ერობის შემოსაღებად პრაქტიკული მუშაობა უკვე დაიწყო თბილისის მაზრაში, არჩევნები უკვე ხდება, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში კი თანახმად საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა, ამ დღეებში შეუდგებიან არჩევნებს.

ოზურგეთის მაზრაში პირობები შეიცვალა. გურიაში ოსმალთა შემოსევის შემდეგ ხალხის სულიერი განწყობა საგრძნობლად შეიცვალა. ინდეფერენტიული დამოკიდებულება არსებული ორგანოებისადმი ნიადაგს ჰპოვებს ხალხის ერთ ნაწილში. ადმინისტრაციული დაწესებულებები, სასურსათო კომიტეტი და სხვა ასეთი ორგანოები ხალხის ნდობას ვერ იმსახურებენ.“ („გურიის ხმა,“ №1, 1918 წ.)

ერობის თემაზე გაზეთ „გურიის ხმის“ 1918 წლის 21 ივლისის ნომერიც გვაუწყებს: „... ასეთი საბედისწერო მომენტისა და რთულ პოლიტიკურ მდგომარეობის დროს, როცა შინაური და გარეული მტრები დემოკრატიას მახვილის ჩაცემით განადგურებას უქადიან, როცა სახელმწიფოებრივი ცხოვრება –მისი ფინანსიური-ეკონომიური მხარე აწეწილ-დაწეწილია და როცა დაწყებულია თვით პროცესი მთლიან სახელმწიფო აპარატის შესაქმნელად, აი ასეთ დროს დემოკრატია ჰქმნის ისეთ ორგანოს, რომელიც მთელი თავისი ძალღონით ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებას. ასეთი ორგანოა დემოკრატიული ერობა.

დღევანდელი კრება გურიის ცენტრალური კომიტეტისა უმთავრესსად იმ მიზნისათვის არის მოწვეული, რომ მონახოს შესაფერისი კანდიდატები მომავალ სამაზრო ერობაში.“

„გურიის ხმა“ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას ასე აფასებდა: „ბალშევიკების მიერ დადებულმა ბრესტის ხელშეკრულებამ ყარსი და ბათუმი –ეს ამიერკავკასიის კლიტე სიმაგრეები ოსმალეთს უთავაზა და მით მაჰმადიანურ ურდოებს კარი გაუღო ამიერკავკსიისა და საქართველოს გასანადგურებლად. ერთი რევოლუციონერული ფრონტის თუნდაც ამიერკავკასიის მასშტაბით შერჩენა მხოლოს იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ აქ მობინადრე დემოკრატია ძლიერი და ერთფეროვანი იქნებოდა. ეს კი ასე არ იყო, ადერბაიჯანელთა ერის დიდმა უმეტესობამ ბეგ-აღალარების პარტიას (მუსავატს) განუცხადა ნდობა. სომხები კი შოვინისტ-დაშნაკცაგანის პარტიას აყვა. მარტო ქართული დემოკრატია შერჩა სოციალ-დემოკრატიას. ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებაზე ეს აშკარა შეიქმნა და ქართველი ერის ფიზიკური ყოფნის საშიშროება შეიქმნა. საქართველომ უნდობლობის გამოცხადებით შეძლო შეერჩინა ერის ფიზიკური არსებობა და ისიც იმ პირობით, თუ დღეს ბრძოლის ველზე გამარჯვებული გერმანია გაუწევდა მფარველობას. აუცილებლობის ასეთმა ულმობელმა პირობებმა უბრძანეს ქართველი ერის მეთაურ სოციალ-დემოკრატიას ეროვნული ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად დამოუკიდებლობა გამოეცხადებიათ და ისიც ასე მოიქცა.“

სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეპოვება გაზეთ „გურიის ხმა“ 1919-1920 წლის ნომრები. არქივში გაზეთის 1921 წლის 9 მარტს გამოშვებული ნომერი შემორჩა.

1921 წლის 15 თებერვალს რუსეთის არმია საქართველოს შემოესია. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ თბილისის დატოვების შემდეგ საქართველოს დემოკრატილი რესპუბლიკის მთავრობას, მიუხედავად უკიდურესად რთული მდგომარეობისა, კაპიტულაცია არ გამოუცხადებია. ბრძოლები გრძელდებოდა. 4-5 მარტს ბრძოლა გაიმართა სადგურ მიხაილოვოსთან, სადაც „წითელი არმიის“ ნაწილებმა უკან დაიხიეს.

დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ამ წარმატებამ განაპირობა ბოლშევიკები მშვიდობიან მოლაპარაკებაზე გადასულიყვნენ. 1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საქართველო დატოვა და ემიგრაციაში წავიდა.

„შემოსეული მტერი თუ აქამდის არ იყო ამაში დარწმუნებული, ახლა ხომ დაინახა, რომ ქართველი ერი თავისი საუკეთესო მხედრობის საშუალებით არ უთმობს მას უბრძოლველად არც ერთ ადლს თავისი მიწისა.

მთელი კაცობრიობა მოწმეა ქართველი ერის უმაგალითო ბრძოლისა იმ საზიზღარ მტერთან, რომელიც უმიზეზოდ თავს დაგვესხა...

საქართველოს კონსტიტუცია მიღებულია დამფუძნებელი კრების მიერ. ის მუდმივი ფორმაა საქართველოს სახელმწიფოს წყობილებისა, ის დაწერილია ქართველი ერის მიერ და გარეშე უხეში ძალა მას ვერ გააუქმებს.“–წერდა გაზეთი თავის მოწინავე წერილში.

წერილში „რისთვის მოდიან“ ვკითხულობთ: „შესაძლებელია, ზოგ გულუბრყვილოს, რომელიც თავს კომუნისტს უწოდებს, ჰგონია, რომ კარზე მომდგარ რუსის ლაშქარს მოაქვს ჩვენს სამშობლოში მშვიდობა და ბედნიერება, თითქოს მისი საქართველოში შემოსევის მიზანია ქართველი მშრომელი ხალხის ვიღაცის მონობისგან გათავისუფლება, ჰგონია, რომ რუსის ჯარის გამარჯვებისთანავე თავზე საყარად დაზავდება ჩვენში თეთრი პური, ნავთი, ჩითი და ნარმა – ასე თუ ჰგონია და უხარია კიდეც!

მართალია, რუსეთი ცდილობს ცეცხლითა და მახვილით გაათავისუფლოს საქართველო, მაგრამ ერთი კითხვით –ვისგან უნდა გაანთავისუფლოს, ალბათ იმათგან ვინც დაპოტრენებულია საქართველოს, ვინც ერთულად დგას მის სადარაჯოზე, ვინც მკერდით იცავს მის თავისუფალ არსებობას, ვინც შეურყევლად , უსიტყვოდ ეწირება ზვარაკად საქართველოს და მდუღარე სისხლით რწყავს მის მთა-ველებს. მერე ვინაა საქართველოს პატრონი და ჭირისუფალი? ეს ხომ ქართველი ერია, ქართველი ხალხი...

...ასეთ მოძალადეს, თუ გინდ კეთილი მიზნებით იყოს მოსულ, ტყვიით უნდა გავცეთ პასუხი. და თუ ეს მოძალადე მოდის ერის ასასრებად და გასანადგურებლად, რაც დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, მაშინ მით უნდა იყოს, მაშინ მით უმეტეს გვმართებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

როცა მგელი ოჯახში შემოიჭრება და ცოლშვილს დაერევა, მაშინ ორში ერთია –სიკვდილი ან გამარჯვება....“

სამწუხაროდ, ამ უთანასწორო ბრძოლაში ბნელმა ძალამ გაიმარჯვა. რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა, და როგორც კოლაუ ნადირიძე წერდა:

„თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი....“

ნუგზარ ასათიანი

მეორესკოლელებმა ხუთი მწერალი ერთ დღეში რეალურად წამაკითხეს

თემურ მარშანიშვილი

ეს იყო სიურპრიზი, დიდი, სასწაულებრივი და სასიამოვნო სიურპრიზი: ოზურგეთის № 2 საჯარო სკოლის IX-2 კლასის მოსწავლეებმა ხუთი მწერალი – აკა მორჩილაძე, გურამ რჩეულიშვილი, ოთარ ჩხაიძე, ჯემალ ქარჩხაძე და დათო ტურაშვილი რეალურად ერთ დღეში, უფრო სწორად, ორი საათის განმავლობაში წამაკითხეს!

და ეს მოხდა გასულ ორშაბათს, 19 თებერვალს პროექტის „წაიკითხე-წამაკითხე“ ფარგლებში, რომლის მიზანია მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლება. ამ უპრეცედენტო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია ხსენებული საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი ნინო ბილიხოძე.

არ ვაჭარბებ: ზოგადად, სიურპრიზები მეორე საჯარო სკოლის მხოლოდ დირექტორის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან კი არა, იმ დარაჯისგანაც მოსალოდნელია, სკოლის ეზოში სანდომიან ღიმილს რომ შემოგაგებებს, მობრძანდითო, – გეტყვის და დირექციამდე თუ სამასწავლებლომდე ხალისით მიგაცილებს.

რამდენიმე სიტყვა „წაიკითხე-წამაკითხეს“ შესახებ, რომლის არსებობაზე, – უნდა გამოვტყდე, – გასულ ორშაბათამდე მართლა არაფერი ვიცოდი: ჩემი აზრით, თუ პროექტს აკეთებ, ნაკლები არც უნდა გააკეთო. რა დროულია, რა აქტუალური და რა აუცილებელი! მაშინ, როცა ახალმა ტექნოლოგიებმა წიგნი – გონიერების ოაზისი გარკვეულწილად წაჩრდილა; მაშინ, როცა მობილურმა ტელეფონებმა და კომპიუტერებმა დიდი თუ პატარა ლამის რეალურ სამყაროს მოგვწყვიტა; მაშინ, როცა ქართულ ენას მძიმე ტექნიკურმა ლექსიკოლოგიამ და უცხო სიტყვათა თქეშმა მაღალმაგნიტუტიან სტიქიასავით შემოუტია...

ეს ისეთი პროექტია, ყავლი არასოდეს გაუვა. „წაიკითხე-წამაკითხე“ დღეიდან ჩემთვის ის პრაქტიკული სახელმძღვანელოა, რომელიც თავისი ღირებულებით ნამდვილად აღემატება ამ თემაზე შექმნილ არაერთ სამეცნიერო ნაშრომს თუ ზოგიერთი კალმოსნის მრავალტომეულს.

ასეთი დონის პროექტების განხორციელება მხოლოდ მაქსიმალისტ პროფესიონალებს ხელეწიფებათ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პროფესიონალია არა მხოლოდ ქალბატონი ნინო ბილიხოძე, არამედ მისი IX-2 კლასის თითოეული მოსწავლე, რომლებიც ბოლომდე გაისარჯნენ თავისი თანატოლებისა და დარბაზში მყოფთა წიგნიერების ასამაღლებლად. აღარაფერს ვამბობ წამყვანებზე, სალომე ქათამიძესა და გიგა ცხომელიძეზე, რომლებმაც ღონისძიების გაძღოლის არაჩვეულებრივი მანერით, თუ შეიძლება ასე ითქვას, წიგნიერი არისტოკრატების შთაბეჭდილება დატოვეს.

თუ ვინმეს ჯაფა დაადგა, უპირველესად, ალბათ, ჟიურის, რომელსაც ხუთიდან ერთი საუკეთესო ჯგუფი უნდა დაესახელებინა. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ჟიურის წევრებმა ხუთივე ჯგუფი საუკეთესოდ დაასახელეს, აქედან კი ნატა სალუქვაძის ჯგუფი საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ მიიჩნიეს.

ქალბატონი ნინო ბილიხოძის თქმით, პროექტის ფარგლებში, ჯგუფური პრეზენტაციების სახით, მოსწავლეებმა წარმოადგინეს ქართული და მსოფლიო კლასიკის 50-ზე მეტი მწერლის შემოქმედება:

„საგანმანათლებლო ჯგუფური პროექტი „წაიკითხე წამაკითხე“ მეხუთე წელია მიმდინარეობს ორ კლასში. წლეულს პროექტს მხოლოდ IX-2 კლასი განაგრძობს, ხოლო მომავალი წლისთვის მასში მონაწილეობისთვის ემზადება VI-1 კლასი. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა წაიკითხეს, გაიაზრეს და ჯგუფური პრეზენტაციების სახით წარმოადგინეს ქართული და მსოფლიო კლასიკის 50-ზე მეტი მწერლის შემოქმედება. გასულ წლებში პროექტი ნაწილდებოდა 5 ჯგუფურ პრეზენტაციად – 5 კვირის განმავლობაში. წლეულს სტრუქტურა შევცვალეთ და ჯგუფების ნამუშევრები ერთ მთლიან პრეზენტაციად გავაერთიანეთ“.

ქალბატონი ნინო იმედოვნებს, რომ VI-1 კლასის მოსწავლეებიც ისეთივე წარმატებით „წაიკითხავენ და წაგვაკითხებენ“, როგორც ეს გასულ ორშაბათს IX-2 კლასელებმა შეძლეს და სწორედ აქ გამოჩნდება პროექტის შემდგომქმედების მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი.

სკანვორდი





№ 7-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე რედიარდ კიპლინგი, ჭურჭელი ნათლისღების რიტუალისთვის – ემბაზი; ნამგალი გურულად – აგანა, საქონლის სადგომი – ბაკი; მიწის საზომი ერთეული – ადლი; თასმა, ქამარი – დუშაყი; თიხის სახეობა – ალიზი; ქალის სახელი – მაყვალა; ორპიკანი მწვერვალი სვანეთში – უშბა; მატყლის ქსოვილი – შალი; დერეფანი – ტალანი; მკურნალი – დასტაქარი; მუსიკალური ინსტრუმენტი – დაირა; ჭის სახურავი – გვიმლი; ერთვარი თოკი – ბაგირი; სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში – ინგირი; ფრინველის მახე – კაკანთი; სპორტის სახეობა –ბოული; გერმანული ტომი – გოთი; ჟამი – დრო; ბამბის ქსოვილი – ნარმა; სვე, ბედი – იღბალი; კუვეიტის ფულის ერთეული – დინარი; ნაპერწკალი – წინწალი; მიმუნის სახეობა – ბაბუინი; მეგრელი პოლიტიკოსი – კუკავა; ემალი – მინანქარი

„სადღა არიან აწ ესე კაცნი“...



ბევრჯერ მიფიქრია მასზე, უფრო სწორად, მის ფენომენზე... მისი გარდაცვალების შემდეგ - უფრო ხშირად... როგორ უნდა იცხოვრო ისე, რომ შენს ამ ქვეყნიდან წასვლას მოუნელებელ ტკივილად განიცდიდეს ყველა; რომ შენი არყოფნა წლების შემდეგაც ისეთივე საგრძნობი იყოს, როგორიც ყოფნა. როგორ უნდა იცხოვრო, რომ აქ დარჩენილთა გულებში ასეთი ნათელი დატოვო...

რამდენჯერაც ჩავუჯექი ამ წერილს, ვგრძნობდი, რომ ერთი რამ მაბრკოლებდა - როგორ მომეხსენებინა იგი, ჩემი უძვირფასესი მეგობრის მამა. „რენო ბიძია“ რაღაცნაირად უკმარისობის გრძნობას მიტოვებდა; თითქოს ამ სიტყვების მიღმა მთასავით კაცი კი არ ჩანდა, მხოლოდ ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება გამოსჭვიოდა მის მიმართ. არადა, თვითონ გიშვებდა ასე ახლოს, როგორც უმცროს მეგობარს, გიშვებდა საოცარი სითბოს ველში, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი გრძნობდა, ვისაც კი მასთან თუნდაც ცოტა ხნის ურთიერთობა აკავშირებდა. ფსიქოლოგების აზრით, ე. წ. „კომფორტის ზონის“ არსებობას მრავალი გარემო ფაქტორის ერთობლიობა განაპირობებს. ეს საოცარი კაცი კი მარტო თვითონ ახერხებდა, ამგვარი ზონა შეექმნა ირგვლივ ყველასთვის, რადგან თითოეული ადამიანი მისთვის იყო „მოყვასი“ და არა „სხვა“, „გარეშე პირი“. ის დახვეწილი ოსტატობით აქრობდა ხელოვნურად აღმართულ ბარიერებს ადამიანთა შორის - ღიმილით, ხუმრობით, გულწრფელად ნათქვამი ორიოდე სიტყვით, სრულიად შეუმჩნევლად. სიკეთით, უშუალობით მიგიმხრობდა და თავისიანად გაქცევდა. მეც მხვდა წილად ბატონ რენო ურუშაძესთან ურთიერთობის პატივი და ბედნიერება (ბოლოს მაინც „ბატონი“ ვამჯობინე - მოწიწების, მოკრძალების, თაყვანისცემის გამომხატველი ქართული სიტყვა). მეც მრავალთა შორის ვიყავი, რადგან მისი მდიდარი და გულუხვი ბუნება ზღვა ხალხს ყოფნიდა; თავად მას არ ყოფნიდა ერთი კაცისთვის საკმარისი სივრცე. უდიდესი ერუდიცია, აზროვნების მასშტაბი, პროფესიონალიზმი, ზღაპრული იუმორი, საოცარი ალღო ყოველგვარი სიახლის მიმართ, ახალგაზრდული ენერგია და, რაც მთავარია, სიკეთის კეთების, ქველმოქმედების დაუცხრომელი სურვილი, სურვილი კი არა, მოთხოვნილება - ბატონ რენოს, როგორც პიროვნებას, განუმეორებელ მიმზიდველობას ანიჭებდა. მის შინაგან სილაღეს, პიროვნულ თავისუფლებას ვერც კომუნისტურმა პერიოდმა დააკლო რამე და ვერც პოსტკომუნისტურმა. არქიტექტურასა თუ მუსიკაზე, პოლიტიკასა თუ ისტორიაზე, ხელოვნებასა თუ ლიტერატურაზე, ფოლკლორსა თუ ეთნოგრაფიაზე საუბარს ნამდვილ დღესასწაულად გიქცევდა. მონუსხული უგდებდი ყურს და , თუკი მისი ბრწყინვალე იმპროვიზირებული ლექციის შემდეგ კიდევ შეგრჩებოდა სინდის-ნამუსი, რომ ხმა ამოგეღო, სახტად დაგტოვებდა, ისე მოგისმენდა.

...ბატონი რენოს მიერ გადაღებულ ფოტოებზე აღბეჭდილი გურიის ულამაზესი პეიზაჟები, რომლებიც მისი მშვენიერი, ფაქიზი სულის ანარეკლია, მისი ელვარე ნიჭის კიდევ ერთ დასტურს წარმოადგენს.

მახსენდება მისი მოძღვრის, მამა მიქაელის, ნათქვამი - ეს ადამიანი თავისი ცხოვრებით ქრისტიანობას ქადაგებდაო. ძნელია, უკეთ შეაფასო ამ დიდი კაცის მიერ განვლილი ცხოვრება, კაცის, რომელიც საკუთარ დანიშნულებად ღმერთისგან ბოძებული ტალანტის გამრავლებას მიიჩნევდა და თავისი ყოველი ქმედებით ამტკიცებდა, რომ სიყვარულის ძალას წინ ვერაფერი აღუდგება.

როცა მასზე ფიქრისას ზოგჯერ უნებურად ცრემლი მომადგება თვალზე, ნოდარ დუმბაძის მიერ ნიკო კეცხოველზე თქმული მაგონდება:

„ნეტა, რა სჭირს სატირალი - კაცი ვიყავი და ქუდი მეხურაო, მაგან უნდა თქვას.

- მამა მყავდაო, — მისმა შვილებმა უნდა იტრაბახონ.

-მეგობარი მყავდაო, - მისმა მეუღლემ იტრაბახოს.

- შვილი გავზარდეო, - საქართველომ დაიქადნოს.

... თუ ვინმე წამსვლელია, ნეტავ, ყველა თქვენსავით ნათელმოსილი, ვალმოხდილი და სახელოვანი მიდიოდეს ამ ქვეყნიდან“.

ნათია მენაბდე.

ქალაქი ოზურგეთი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-6

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი

როგორც მინაწერებში, ასევე ჩანახატებში კასტელი სხვაგანაც მრავალგზის იხსენებს დიდი სიმპატიით გურიელის კარზე მყოფ ათაბაგის ასულ ელენეს, რომელიც შემდგომ ისპაჰანის შაჰ-აბაზისეული სასახლის მშვენება გახდა და თავისი მომხიბლელობით შირაზის ვარდებს დაედარა.“ ელენე ათაბაგი, სპარსეთის დედოფალი ჩვენი მისიონერების ნამდვილი სულიერი ქალიშვილი, რომელიც იმყოფებოდა გურიის პროვინციაში... შემდეგ ის სპარსეთის დედოფალი გახდა — შაჰ-აბას დიდის ძის, შაჰ-სეფის მეუღლე.“

საინტერესოა ოზურგეთის სასახლეში შეკრებილ ბრწყინვალე სეფე ქალთა კასტელისეული აღწერილობა. მარადში გარდასული მზერით გვესახებიან ისინი თვალწინ, მათი დახვეწილობა, ენატკბილმოუბრობა, კეთილ-მგალობლობა და მწიგნობრობა, სილამაზე და სიფაქიზე, სამოსი და სამკაულები, უამრავ საინტერესო საკითხს აღბეჭდავს ოცნებათა წარმოსახვაში.“ ოზურგეთში ამ დროს აღნიშნავს კასტელი,-მთავრის სასახლეში იყვნენ დიდი სინიორები და... სეფექალები; ერთად მოდიოდნენ პატრებთან. სხვათა შორის ამ ქალებში იყვნენ ჩვენი დროის მთავრის ვახტანგის ქალიშვილი. პირველი დაქორწინებული იყო ლიპარტიანზე, მეორე პაპუნაზე. აქ იყო ბატონიშვილი ქალი (პრინცესა), მთავარი

ლევან დადიანის ყოფილი მეუღლე დარეჯან შარაშია

ათაბაგის ქალიშვილი. გურიელის ქალიშვილ ელენეს დედა: იმ დროს კოლხეთის ანუ სამეგრელოს დედოფალი. აქ იყო აგრეთვე ელენე, მთავარ ათაბაგის ქალიშვილი, შემდეგ სპარსეთის დედოფლად წაყვანილი და თამარ, ამჟა-მად იმერეთის საქართველოს დედოფალი, რომელიც მეფემ უმიზეზოდ დაითხოვა.“

კასტელის მიერ ოზურგეთსა და მის სანახებში აღწერილ, ნანახ და მის მიერ შესრულებულ გურიის მკვიდრ მომხიბლავ ასულთა ჩანახატების ფონზე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთ-ერთი საინტერესო ლეგენდა, რომელიც „სახელწოდება გურიის წარმომავლობის ახსნის შესაძლებლობას ეხება, ლეგენდის თანახმად:„ „ იყო ინდოეთს მეფე შედათი, კაცი იმდენად გულზვიადი და კაღნიერი, რომ ედემი გააშენებინა, ერი ღმერთად მიმიჩნევსო. ედემი მართლა საუცხოვო სანახავი იყო და სწორედ სამოთხესა ჰგავდა. მაგრამ ერთი წუნი ჰქონდა: „რა სამოთხეაო“-კრძალვითა და მოწონებით მოახსენეს შედატს,-შიგ ანგელოზები არ არიანო.“

მეფემ მაშინვე მოუწოდა თავის მხლებელთა და უბრძანა, დაიარეთ მთელი ქვეყანა და საცა კი ნახოთ „გურიები“ (ე. ი. ლამაზები, მომხიბლავები), მე მომგვარეთო. მეფეს უნდოდა ეს გურიები სამოთხეში დაესახლებინა. მხლებლებმა შეასრულეს ბრძანება მეფისა, შეკრიბეს „გურიები“ მთელი ქვეყნის პირზე, გაემართნენ ინდოეთს. კავკასიაში რომ მოვიდნენ, აქ შეიტყვეს უცებ, რომ ღმერთმა უწყალოთ დასაჯა შედათი კაღნიერებისათვის: დაახვია უამრავი კოღო და ქინქლა, რომელთაც ისე დაჰკბინეს უბედური მეფე, რუმბივით დასივდა და მალე სულიც განუტევა. “გურიებმა მოისმინეს ეს ამბავი და გადაწყვიტეს ნუღარ დავბუნდებით ჩვენ-ჩვენ ქვეყანაში, დავრჩეთ აქ ტურფა მხარეში, რომლის მშვენებამ ასე მოხიბლა „გურიები“, რომ მართლა სამუდამოდ დასახლდნენ კავკასიაში, დღევანდელი გურიის მხარეში, რის გამოც ბუნებით თვალწარმტაც ამ ქვეყანას გურია-ანუ ლამაზ ასულთა მხარე ეწოდა.

კასტელის „ალბომში“ “ძლიერთა გურიის ხელისუფალთა“ გვერდით ძველი გურიისა და ძველი ოზურგეთის კიდევ მრავალი საინტერესო სახეებია

მამია გურიელის ქალიშვილი ელენე

აღბეჭდილი სათანადო მინაწერებით. ესენია: ტოკარია ორტობიალია. „ეს ქალი აღნიშნავს კასტელი,-მის ქმარსა და ორ ქალიშვილთან ერთად ჩვენი უერთგულესი და ძალიან კარგი მომვლელები იყვნენ. “ასეთივეა მისიონერების მსახური ქალი ოზურგეთში რავანცო, და მსახური კაცი პავიჩელა ბრევესა.“ „აპუნა ნაკაშიძის მეუღლე რავანცო,- აღნიშნავს კასტელი,-იყო ჩემი დედაც და მამაც“. გურიის მთავარს “დიდ მალაქიას“ პატრებისათვის ოზურგეთში უბოძებია “ნიჭიერი და სახით არაჩვეულებრივი სილამაზის მონა ყმა მიქელა აზნაურიშვილი.“ აქვეა წარმოდგენილი „პატრების უერთგულესი მოსამსახურე ქალი თანუსია“ გურიის პროვინციაში, ოზურგეთში. აგრეთვე „პატიელა მარკველია“ და „პატრების მოსამსახურე ბიძინა გურიაში“.

კასტელის „ალბომსა“ და „ცნობებში“ ჩვენს თვალწინ იშლება „დიდი ვნებათაღელვის,“ „თავაშვებული ცხოვრების,“ განუკითხაობისა და აულაგმავი თვითნებობის ხანა.“ „როცა საქართველოს დარბაისელნი,-თანახმად ყანჩაეთის ყმგელანზედ მინაწერისა,“ — არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა“, როცა ქვეყანად ბატონობდა ერთმანეთის „მექეშპეობა“, „მტრობა“, „შუღლი“ და გაუთავებელი ფეოდალური შინაომებით გამოწვეული „ძმათა სისხლისღვრის“ შემზარავი დანაშაულობანი. დასავლეთ „საქართველოს“ დარბაისელთა შორის წარმოქმნილ ამ - „ძმათა კვლის“ სისხლისმღღვრელ ჭიდილში ოდიშის სამთავროს მპყრობელ ლევან დადიანთან, აფხაზთა მთავარ სეტემან შარაშიასა და იმერეთის მეფე გიორგისთან ერთად „განსაკუთრებული წვლილი შეჰქონდათ, “ გურიის მთავრებს: სიმონ და მალაქია გურიელებს. ამ ბრძოლათა ძირითად ავანსცენასაც გურიის მიწა-წყალი წარმოადგენდა, ხოლო ამ ყოვლად უაზრო პოლიტიკურ ინტრიგათა ყურადღების ცენტრში კვლავ გურიელთა „კეთილპალატოვანი“ რეზიდენცია-ოზურგეთი იყო. შური აწყვეტილ და დაქცეულ ქვეყანაში მღელვარე მოვლენები კვლავ გურიელთა და დაიანთა სახლებს შორის ატეხილი შფოთის ფონზე მიმდინარეობდა:

ისტორიის ავანსცენაზე დგანან სისხლითა და ცოდვით დამძიმებულნი,

იშვიათი სილამაზის ქალი მთანურია გიმატია

საქართველოს დარბაისელნი: ლევან II დადიანი, სიმონ გურიელი, მალაქია გურიელი, პაატა წულიკიძე, გიორგი III იმერთა მეფე, ნესტან-დარეჯან ჭილაძე დადიანისა და სხვანიც მრავალნი.

1591 წელს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით კახთ-ბატონ ალექსანდრეს ასულმან ნესტან-დარეჯანმა „უშვა დადიანსა მანუჩარს წული ლევან“.

1611 წელს მრავალრიცხოვანი ამალით სანადიროთ გავიდა ზუგდიდის სანახებში მანუჩარ დადიანი. მარეკებმა ირმების ჯოგი გამოირეკეს უსიერი ტევრებიდან. ზერდაგზე ამხედრებული დაედევნა ირმების ხროს ოდიშის მთავარი. საპირისპირო მხრიდან უცაბედად ფარუხია გოშაძემ ამგერა ცხენი ბატონის ცხენს. ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში ლევან დადიანი გვაუწყებს: „შეიძგერდნენ ბატონი და გოშაძე ფარუხია, და ცხენი წაექცა. მანუჩარ დადიანი ამიერ სოფლით მიიცვალა“.

პატრი დონ არქანჯელო ლამბერტი მანუჩარ დადიანის გარდაცვალების შესახებ აღნიშნავს: დადიანი „ერთ დღეს სანადიროდ გამოვიდა და, როცა ცხენით გამოუდგა ირემს, დაეტაკა მეორე ცხენოსანს, რომელიც მისდევდა თურმე იმავე ირემს. უბედური მანუჩარი ისე ძლიერ დაეტაკა რომ სულ დაიმსხვრა, და იქვე სული განუტევა“.

ვახუშტი ბატონიშვილი: „ნადირობასა შინა ხრომან ირმისმან წარიტაცა დადინი მანუჩარ და მოკლა იგი“.

„ამ მანუჩარს მემკვიდრედ დარჩა მცირეწლოვანი ლევან, რომელიც მაშინ სრული თოთხმეტი წლისაც არ ყოფილა“.

შემდგომში ზრდადასრულებულ და გამთავრებულ ლევან დადიანზე ვახუშტი ბატონიშვილი იტყვის: „ესრე ლევან იყო ბოროტი, ხუანჯიანი, ამაყი, მზაკუარი და ძვირის მომხსენე“.

ავტორი სახელგანთქმული „სამეგრელოს აღწერისა“,- პატრი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც თანამედროვე იყო ოდიშის “ხვანჯიანი, ამაყი და მზაკვარი მთავრისა, მოგვითხრობს: მანუჩარ დადიანს „მემკვიდრედ დარჩა მცირეწლოვანი ლევან, რომელიც სრული 14 წლისაც არ ყოფილა. ამის გამო, ხალხის ჩვეულებისამებრ, მას ამოურჩიეს ხელმძღვანელი, ანუ მზრუნველი, რომელსაც მასთან ერთან უნდა განეგო მთავრობა და კეთილად წაეყვანა სახელმწიფო საქმეები. ასეთ მზრუნველად დაუნიშნეს მას მისი ბიძამ გიორგი ლიპარტიანი. კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში კარგად გამოცდილი. ეს გიორგი განაგებდა ყველაფერს ფრიად ერთგულად და ისე მიჰყავდა საქმეები, რომ მისი გამგეობის დროს კოლხიდაში არავითარი არეულობა არ მომხდარა. ყმაწვილი ლევან განავითარა ყველა იმ ვარჯიშობაში, რომელიც შეეფერებოდა მთავარს.

როცა დრომ მოაწია, ლევანმა თვითონ დაიწყო სამთავროს გამგეობა და ცოლად შეირთო აფხაზეთის მთავრის შარაშიას ქალი.

ენვერ გოგუაძე

ოზურგეთი ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატს მასპინძლობდა

ალიონი. ოზურგეთის სპორტის სასახლეში ორ დღეს მიმდინარეობდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები, რომელშიც საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების 210-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. სამსაჯო კორპუსში, სამატიო სტუმართა შორის იყვნენ ოლიმპიური და მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონები, საქართველოს სახელოვანი სპორტსმენები.

ოზურგეთის საჭიდაო სკოლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ოთხმა მათგანმა ფინალში იჭიდავა და 2 საქართველოს ჩემპიონი გახდა.

პირველი სიხარული **გიორგი თოსაძემ** მოუტანა მასპინძლებს. მან 51 კგ. წონით კატეგორიაში ბრწყინვალედ იჭიდავა და გაიმარჯვა.

ასევე მეტად დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა 90 კგ. წონით კატეგორიაში **ცოტნე ცინცაძემ.** მან ძლიერ მეტოქესთან გადამწყვეტი ქულა აიღო და ჩემპიონი გახდა. (ორთავე გამარჯვებულის მწვთნელები ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები არიან).

ბოლომდე დაიხარჯა 110 კგ. წონით კატეგორიაში **კუკური ბარბაქაძე,** (მწვრთნელები კახაბერ და გურამ აბაშიძეები), რომელიც უფრო გამოცდილ მეტოქესთან 3:4 დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

სამი მედალი მოიპოვეს ოზურგეთელმა მოჭიდავეებმა 48 კგ. წონით კატეგორიაში. აქ მე-2 **გორა ირემაძე** იყო, (გურამ და დავით მაჭარაშვილები), ხოლო მე-3 **დავით ურუშაძე** (კახა აბაშიძე) და **სერგო სარქისიანი.**(გურამ აბაშიძე, ბექა ჩოფლიანი).

კიდევ ერთი მედალი მასპინძლებმა 45 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვეს. **კახა ძირკვაძე** მე-3 იყო. (გურამ და დავით მაჭარაშვილები).

გუნდურ ჩათვლაში პირველი აჭარა იყ; მეორე –ოზურგეთი: მესამე– გარდაბანი.

გამარჯვებული სპორტსმენები ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ,ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, პირველმა მოადგილემ ალექსანდრე სურგულაძემ, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე ლაშა ლომაძემ თასებითა და დიპლომებით დაჯილდოვეს.

ჩემპიონატი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, ა (ა) ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების მხარდაჭერით გაიმართა.



თქვენ გეძლევათ შანსი მიიღოთ მაქიმალური ხარისხი, მინიმალურ, – თქვენთვის სასურველ ფასად.

თვითმომსახურების ავტოსამრეცხაოში მომხმარებელი თავადვე ასრულებს ავტომობილის რეცხვისა და მოვლის სხვადასხვა პროცედურებს. მაღალი ავტომატიზებული სისტემა გარანტია მაქსიმალური შედეგის, რაც მინიმალურ ფასად მიიღწევა. ეს გარემოება არა მარტო თანხის ეკონომიაზე ორიენტირებულ მომხმარებელს იზიდავს არამედ იმ ავტომფლობელებსაც, რომელთაც სურთ მაქსიმალურად ყურადღებით და ხარისხიანად მოუარონ საკუთარ ავტომობილებს. რადგანაც, ჩვენთვის დრო და ხარისხი უმთავრესია, რიგის შემთხვევაში ლოდინის დრო მხოლოდ 5-10 წუთს შეადგენს, რაც უფრო საინტერესოს და მობილურს ხდის მომსახურებას, სადაც დრო და ხარისხი თქვენს ხელშია !

გისურვებთ წარმატებას.

ქაფი 1 ლარი
წყალი 1 ლარი
ცვილი 1 ლარი

აქცია! მომსხურების სრულად მიღების შემთხვევაში მტვერსასრუტი უფასოდ

მის: თაყაიშვილის ქ. №46 (ექადია)

ძიუდო

გელა ქურასბედიანი მეორე იყო

17-18 თებერვალს ქარელში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 1998-2000 წლებში დანადებულთა შორის ახალგაზრდებში.

აღნიშნულ ტურნირში მეორე საპრიზო ადგილი **გელა ქურასბედიანმა** დაიკავა (მწვრთნელი დიტო ტუღუში).

საქართველოს ნაკრებმა ავსტრია 78:64 დაამარცხა

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ მატჩში ავსტრია 78:64 დაამარცხა. ავსტრიის კალათბურთელთა ნაკრები ევროგრანდი ნამდვილად არაა, ჯგუფში სერბეთმა 21 ქულით, გერმანიამ კი 41 ქულით დაამარცხა, მაგრამ საკადრო პრობლემების გამო საქართველოს ნაკრები უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა.

ჩვენი გუნდის მწვრთნელმა ილიას ზუროსმა შემდეგი სასტარტო ხუთეული გაიყვანა პარკეტზე: დიქსონი, ბოქოლიშვილი, ცქიტიშვილი, დვალიშვილი და ცინცაძე.

ჩვენი გუნდიდან 23 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო მაიკლ დიქსონი იყო. ახლა მთავარია საქართველოს ნაკრები გერმანიასთან შეხვედრისთვის ჯეროვნად მოემზადოს.

პირველი „მამები და შვილები“ თხინვალში

„მამები და შვილები“ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გამოცდილი სპეციალისტის, ქალბატონი ნაილი გრძელიძის მორიგი პროექტია, რომელიც 23 თებერვალს პირველად თხინვალის საბავშვო ბაღმა განახორციელა.

ეს იყო საოცრად დინამიკური, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ღონისძიება, **რომელშიც სიამოვნებით ჩაერთნენ ხსენებული საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მამები: ედიშერ ბაბილოძე, გიორგი ზოიძე, გოჩა გვიშიანი, გოჩა მუმლაძე, ბადრი ლაბაძე, ნუგზარ ჭანტურია, კარლო ბოქვაძე, გიორგი ცერცვაძე, ვლადიმერ მერმანიშვილი, სოსო ბიწაძე, მარტიროს პოღოიანი, ირაკლი კუპრეიშვილი, პეტრე ხითაროვი, გია გოცაძე, გრიგორი (გრიშა) ეპრიკოვი, სერგო გალუსტაშვილი, ნიკა ტურაშვილი, გოჩა ლაღიძე, ხვიჩა ქაშაკაშვილი, აზო ბოლქვაძე.** აქედან ხუთი – ედიშერ ბაბილოძე, გოჩა გვიშიანი, გოჩა მუმლაძე, ბადრი ლაბაძე და კარლო ბოლქვაძე აღმზრდელ-მასწავლებლის შორენა ხომერიკის მიერ მომზადებული და განხორციელებული სცენარის ისეთივე გმირები იყვნენ, როგორც მათი შვილები და სპექტაკლად ქცეული ღონისძიების მონაწილე სხვა ბავშვები.

მამები მეტ-ნაკლებად მხოლოდ პირველ საკონკურსო ნომინაციაში „ჩაიჭრნენ“, სადაც უნდა გამოეცნოთ შვილის საყვარელი კერძი, საყვარელი ხილი, ყველაზე კარგი მეგობარი და ა. შ. „ჩაჭრილთაგან“ ერთ-ერთი სამი ბოთლი წყლის დალევითაც დაჯარიმდა. თუ არ ვცდები, საჯარიმო „სასმისი“ დანარჩენ ოთხსაც ერგო. მამებმა, შვილების მხურვალე გულშემატკივრობის ფონზე, სხვა – კულინარიულ, სტილისტურ, ჰიგიენურ და საქმიანობებს კარგად გაართვეს თავი. შესანიშნავი იყო კლასიკური მუსიკის ფონზე, რომელსაც პიანინოზე ერთი მამა ასრულებდა, მეორე მამის მიერ ექსპრომტად დახატული ბახმაროს მთები. ღონისძიების გვირგვინი კი გახლდათ მამებისა და შვილების მიერ ერთობლივად შესრულებული სიმღერა.

პროექტ „მამებისა და შვილების“ ფარგლებში, თხინვალის საბავშვო ბაღში ჩატარებულ ღონისძიებას დიდი მოწონება ხვდა წილად როგორც დამსწრე სპეციალისტების, ისე სხვა საბავშვო ბაღების წარმომადგენელთა მხრიდან.

ღონისძიებაში, თავიანთ მამებთან ერთად, ბედნიერად გრძნობდნენ თავს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები: **ნინო ბაბილოძე, თენგო ბაბილოძე, ბარბარე ზოიძე, ელენე გვიშიანი, მათე მუმლაძე, ანასტასია ლაბაძე, თამარ ლაბაძე, ივანე ჭანტურია, ნინა ჭანტურია, ვასო ბოლქვაძე, ნინო ცერცვაძე, ანტონ მერმანიშვილი, კახაბერ ბიწაძე, გიორგი პოღოიანი, გაბრიელ კუპრეიშვილი, დათო ხითაროვი, მარიამ გოცაძე, ნიკა ეპრიკოვი, თეკლა გალუსტაშვილი, ელენე გასლუსტაშვილი, გაბრიელ ტურაშვილი, გოგა ლაღიძე, გაბრიელ ქაშაკაშვილი, ნიკა ბოლქვაძე.**

საბავშვო ბაღის მენეჯერია – **თამარ ცერცვაძე,** აღმზრდელი – **შორენა ხომერიკი,** მუსიკის მასწავლებელი – **ზეინაბ კვაჭანტირაძე.**

7 დღის ამინდის პროგნოზი

მცირე წვიმა +4+7	მზე, ღრუბელი +7+15	მზე, ღრუბელი +6+14	წვიმა თოვლით +2+11	მზე, ღრუბელი +8+10	მზე, ღრუბელი +8+12	მცირე წვიმა +8+12
26 თებერვალი	27 თებერვალი	28 თებერვალი	1 მარტი	2 მარტი	3 მარტი	4 მარტი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა